

ALDA მხარს უჭერს ევროპარლამენტის კამპანიას სიძულვილის დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად

2022 წლის 28 და 29 სექტემბერს, ALDA-ს გუნდი მონაწილეობდა ევროპარლამენტში გამართულ ღონისძიებაში სიძულვილის დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ.

ღონისძიება ჩატარდა პროექტის STAND-UP ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირში სიძულვილის წინააღმდეგ ბრძოლას; მისი მიზანია შექმნას სიძულვილის საწინააღმდეგო დანაშაულის ყოვლისმომცველი ჩარჩო, რომელიც მოიცავს მსხვერპლთა მხარდაჭერის ფარგლებში სიძულვილის საწინააღმდეგო პროცესის ყველა კომპონენტს: მოხსენება-გამოძიება-პროკურატურა-პრევენცია (RIPP). პროექტის სამიზნე ქვეყნებია საფრანგეთი, საბერძნეთი, იტალია და ესპანეთი.

„სიძულვილის დანაშაულის განსაზღვრა: საერთო ევროპული განმარტებისკენ“ უკვე მეორე საპროექტო ღონისძიებაა, რომელსაც მასპინძლობდა [ტრენტოს პროკურატურა ქალაქის სასამართლოში](#) (ლიდერი). ღონისძიებამდე კონსორციუმი შეიკრიბა გრანადაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა [Fundacion Euroárabe de altos estudios \(FUNDEA\)](#).

ორდღიანი ღონისძიება ბრიუსელში დაიწყო პანელური დისკუსიით იმ ექსპერტების მიერ, რომლებიც წარმოადგენენ მრავალპროფილურ ეროვნულ და საერთაშორისო სააგენტოს და მონაწილეობენ სიძულვილის ენისა და დანაშაულის შესახებ პოლიტიკის რეგულაციების შემუშავებასა და განხორციელებაში – CoE, DG Justice, OSCE და სხვა.

ჯოვანი გასპარინი, ვენეციის საჯარო პროკურორის მოადგილემ (VEJudPol), სხდომა გახსნა პროექტის STAND-UP მიზნების ზოგადი მიმოხილვით. მან განსაზღვრა „სიძულვილის დანაშაულის“ ცნება, როგორც მიკერძოებული მოტივით ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაული, განმასხვავებელი ელემენტი“, და წარმოადგინა მასთან დაკავშირებული გამოწვევები. **ვიქტორ კუნდრაკმა**, ეუთოს სიძულვილის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფიცერმა, შეაჯამა ეუთოს-ს გზა სიძულვილის დანაშაულის წინააღმდეგ კანონმდებლობის შესახებ.

მენო ეტემმა, პროგრამის მენეჯერმა და ევროპის საბჭოს სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის ყოფილი ექსპერტთა კომიტეტის მდივნის თანაშემწემ, ისაუბრა სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის რეკომენდაციაზე, რომელიც წარმოადგენს ძირითად საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩოს მითითებას ამ სიტუაციის პრევენციის მიზნით. თუმცა, ბატონმა ეტემამ ხაზი გაუსვა რეკომენდაციის არასავალდებულო ხასიათს, რაც იწვევს მის თვითნებურ გამოყენებას წევრი ქვეყნების მიერ. მეორე პანელის გახსნისას, **ვივიანა გულომ**, პროექტის [AGENFOR](#)-ის მენეჯერმა, ისაუბრა ავსტრიელი ექიმის ლიზა-მარია კელერმეიერის საქმეზე, რომელიც იყო სიძულვილის ენისა და კიბერბულინგის მსხვერპლი. თვეების განმავლობაში ის წერდა

თავდასხმების შესახებ სოციალურ მედიაში და აქვეყნებდა მუქარის წერილებს იმ ადამიანების, რომლებიც მას წერდნენ, რომ სურდათ მისი და მისი თანამშრომლების „დაკვლა“, რაც არც დანაშაულად იქნა აღიარებული და არც სამართალდამცავი ორგანოების მიერ სათანადოდ გამოძიებული. საქმე იმით დასრულდა, რომ ექიმმა თავი მოიკლა, რამაც მეტი ყურადღება მიიპყრო სიძულვილის ენის სამართლებრივი რეგულირების მიმართ. ეს არის მაგალითი იმისა რომ, პროექტმა STAND-UP უნდა შექმნას მოდელი სიძულვილის ფენომენების დასაძლევად და მისი თავიდან ასაცილებლად.

თავის გამოსვლაში, **ალბერტო იზქუიერო მონტერომ**, UNED MADRID-დან, ისაუბრა სიძულვილის ენის მექანიზმების ვიზუალიზაციაზე სამყაროს კრიტიკულად აღქმისთვის. მან ყურადღება გაამახვილა განათლების მნიშვნელობაზე სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლაში, წარმოადგინა მონაწილეობითი კვლევა ამ პრობლემის წინაშე მყოფი მოზარდების შესახებ, რათა გამოავლინოს შემთხვევები და დაძლევის სტრატეგიები.

ბოლო სესია, რომელიც ფოკუსირებული იყო სამოქალაქო საზოგადოების როლზე სიძულვილით გამოწვეული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში, გახსნა პროფესორმა **ვასილიკი არტინოპულუმ**, რომელიც გახლავთ [ევროპის საჯარო სამართლის ორგანიზაციის \(EPLO\)](#) დანაშაულის, სისხლის სამართლის და გენდერული საკითხების განყოფილების ხელმძღვანელი ასევე, გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის წევრი. არტინოპულუმ ხაზი გაუსვა კოორდინირებული რეაგირების მნიშვნელობას ამ ფენომენების დასაძლევად, განსაკუთრებით მართლმსაჯულების სისტემასა და სსო-ებს შორის ერთობლივი სისტემის არსებობის დამატებით ღირებულებას ინფორმაციის გაზიარებისა და თანამშრომლობის მიზნით. **„ჩვენ ვცხოვრობთ კონფლიქტების, სიმკაცრის, რევესის და დაუცველობის ეპოქაში და, შესაბამისად, არსებობს რამდენიმე შეუთანხმებელი ღირებულება, როგორცაა ადამიანის ღირსება, პატივისცემა და სამართლიანობა“**, – აღნიშნა პროფესორმა.

განათლების მნიშვნელობა სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლაში

მეორე დღის განმავლობაში, **ალესანდრა ბრიგომ**, [პროექტის მენეჯერმა და ALDA-ს გენდერის, ჩართულობისა და ადამიანის უფლებების ჰაბის კოორდინატორმა](#), წარმოადგინა ფოკუს ჯგუფების დასკვნები, რომლებიც ჩატარდა 2022 წლის მაისიდან ივლისამდე იტალიაში, ესპანეთსა და საბერძნეთში. კვლევის ერთ-ერთმა ყველაზე გასაოცარმა შედეგმა გამოავლინა მიკერძოება სამართალდამცავ და პოლიციის განყოფილებებში, რაც ეხება რასიზმს, მსხვერპლის დადანაშაულებას და სხვა. ALDA-ს წარმომადგენელმა აღნიშნა რომ პროექტი STAND-UP წარმოადგენს უნიკალურ შესაძლებლობას ამ მიკერძოების დასაძლევად და მოუწოდა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მას, რათა რეალური გავლენა მოახდინოს სისტემებზე სამიზნე ქვეყნებში.

სიძულვილის ენის/დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ დისკუსიისას **ჯოვანი გასპარინმა** აღნიშნა, რომ იტალიაში არსებული ეროვნული კანონმდებლობა არის ნაკლებად ეფექტური და არაინკლუზიური და რომ სამართლებრივი დებულებები არ შეესაბამება საზოგადოების კულტურულ ევოლუციას.

გარიფალია ანასტასოპოლუმ, **ლუსია გარსია დელ მორალმა** და **სერხიო ბიანჩიმ** მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრაზე განიხილეს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის კოორდინირებული რეაგირება და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლი. სიძულვილის ენის აღკვეთის ღონისძიებებში წვლილი შეიტანეს **ლუიჯი რანზატომ** და **ნიკოლა კორდესკიმ** ტრენტოს პროკურატურიდან.

კრისტინა როდრიგეს რეჩემ ბარსელონას ავტონომიის უნივერსიტეტიდან ისაუბრა გენდერისა და ურთიერთდამოკიდებულების მნიშვნელობაზე ევროპაში ისლამოფობიის კონტექსტში. სესიის დასასრულს **კარმელო რუბერტომ**, როვიგოს ყოფილი პროკურატურიდან, ისაუბრა სინტის ეთნიკურ ჯგუფზე სიძულვილის კონტექსტში, წარმოადგინა ეთნიკური სინტის C.E-ს მკვლევლობის რეალური შემთხვევა მისი არასრულწლოვანი შვილისა და თანამზრახველის მიერ. საქმე აქტუალური იყო ვინაიდან თანამზრახველმა გამოავლინა მკვეთრი რასისტული დამოკიდებულება, მაგრამ ეს დამამძიმებელი გარემოება არ იქნა გათვალისწინებული.

ღონისძიება იყო კარგი შესაძლებლობა, განეხილათ თუ რა გაკეთდა და რა უნდა მოგვარდეს პროექტის შემდეგ ეტაპზე.